ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

# რეკომენდაციები კომერციული საღორეების მოწყობასთან დაკავშირებით



## ღორის ჯანმრთელობა



- ცხოველის შეძენამდე შეამოწმეთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ითანამშრომლეთ ვეტერინართან. დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ვეტერინარს ღორის ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ;
- განახორციელეთ ცხოველების იდენტიფიკაცია და აღრიცხვა;
- იყოლიეთ ღორები დახურულ სივრცეში იზოლირებულად.

## ბიოუსაფრთხოების გეგმა



- შეიმუშავეთ საღორე მეურნეობის ბიოუსაფრთხოების გეგმა;
- ფერმის მუშაკები და ვიზიტორები აღჭურვეთ შესაბამისი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უშუალოდ ფერმაში შესვლამდე;
- ფერმის მუშაკებსა და ვიზიტორებს გააცანით ფერმის ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები;
- ფერმის მუშაკებმა არ უნდა იყოლიონ პირად საკუთრებაში ღორები.

## ტრანსპორტი



- ფერმის ტერიტორიის შესასვლელებთან მოაწყვეთ დეზობარიერი და უზრუნველყავით ყველა სატრანსპორტო საშუალების დეზინფექცია;
- ფერმის ტერიტორიაზე ავტომანქანების შესვლაზე დააწესეთ შეზღუდვა;
- რეგულარულად გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია იმ სატრანსპორტო საშუალებებსა და აღჭურვილობას, რომლებიც გამოიყენება ღორების გადასაადგილებლად.

## ცხოველების კვება და ქვეშსაგები

- საკვები და ქვეშსაგები შეინახეთ დაცულ ადგილას, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი დაბინძურება;
- არასოდეს გამოიყენოთ სამზარეულოს ნარჩენები ღორების საკვებად;
- დაუშვებელია ღორების დასაწყურებლად ღია რეზერვუარის წყლის გამოყენება.



## დეზინფექცია და მავნებლების კონტროლი

- შეიმუშავეთ და დანერგეთ ფერმაში ღორების სადგომების და გამოყენებული ინვენტარის წმენდა-დეზინფექციის პროცედურები;
- განახორციელეთ მავნებლების კონტროლის ეფექტური პროგრამა.



## როგორ მოვიქცეთ ღორის სიკვდილის შემთხვევაში

- გამოყავით ადგილი კონტეინერებისათვის, რომლებშიც უნდა მოთავსდეს მკვდარი ღორების ლეშები, მათი უსაფრთხო განადგურებამდე;
- განახორციელეთ კონტეინერების, აღჭურვილობის და ტან-ხორცის დამუშავების ადგილების რეგულარული დასუფთავება და დეზინფექცია.



ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახური და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

# რეკომენდაციები საოჯახო ტიპის საღორეების მოწყობასთან დაკავშირებით

## ღორის ჯანმრთელობა



- ცხოველის შეძენამდე შეამოწმეთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ითანამშრომლეთ ვეტერინართან. დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ვეტერინარს ღორის ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ;
- განახორციელეთ ცხოველების იდენტიფიკაცია და აღრიცხვა;
- იყოლიეთ ღორები შემოღობილ ტერიტორიაზე;
- მოერიდეთ თქვენსა და სხვა საღორე მეურნეობებს შორის კონტაქტს;
- მოარიდეთ ღორები სხვა სახეობის ცხოველებთან (მათ შორის ძაღლებთან ) კონტაქტს;
- ჩაატარეთ ცხოველთა ვაქცინაცია და დეჰელმინთიზაციები.



## მომვლელის პირადი დაცვა



- ღორის სადგომში შესვლამდე ჩაიცვით დამცავი ტანსაცმელი და გამოიცვალეთ ფეხსაცმელი;
- მოარიდეთ სტუმრები და გარეშე პირები ღორების სადგომს.

## ცხოველების კვება და ქვეშსაგები



- საკვები და ქვეშსაგები შეინახეთ დაცულ ადგილას, რათა თავიდან აიცილოთ სხვა ცხოველების, მათ შორის ფრინველებისა და ძაღლების წვდომა;
- დაამუშავეთ თერმულად სამზარეულოს ნებისმიერი ნარჩენი, რომელიც ღორების საკვებად გამოიყენება;
- ღორების დასაწყურებლად ღია რეზერვუარის წყლის გამოყენება დაუშვებელია.

## დეზინფექცია და მავნებლების კონტროლი



- რეგულარულად ჩაატარეთ ღორების სადგომების და გამოყენებული ინვენტარის გაწმენდა და დეზინფექცია;
- რეგულარულად გაატარეთ მღრღნელებისა და მწერების კონტროლის ღონისძიებები.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახური და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.